საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 5 19 00013608

23/01/2019

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოს
ნინო ჩიბჩიურს
მისამართი: გორი, ბერუაშვილის 12

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2019 წლის 16 იანვრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს. რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ჯამში დაახლოებით 52 კმ სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული. მიმდინარე წელს, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლების კუთხით, საოკუპაციო ხაზის თითქმის მთელ პერიმეტრზე განხორციელდა. ხელოვნური ბარიერების გავლება კი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების დვანის (მ/წ 30 ოქტომბერი) და ატოცის (მ/წ 6-7 ნოემბერი) მიმდებარედ დაფიქსირდა.

ამასთან, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 145 კმ-ზე მეტია. ამასთან, აღნიშნული მიმართულებით დაახლოებით 49 კმ სიგრძის მავთულხლართები, ღობეები და სხვა ხელოვნური ბარიერებია გავლებული. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ხელოვნური ბარიერების გავლებას ოკუპირებულ სოფელ ნაბაკევის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური /
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი /დეპარტამენტის
დირექტორი/
ნინო გიორგობიანი

ნინო გიორგობიანი

info@ssg.gov.ge